

2019 წლის 10 მაისი

ქტბილისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 10 მაისს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში. სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა თავართქილაძე, ლაშა მაჭავარიანი, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი. სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის მ. გოგიჩაიშვილის ოქმი და ვიდეომასალა, ამა წლის 8 მაისს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, თბ „ლელო 1“-სა და თბ „ლოკომოტივი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გამოარკვია:

1. თბ „ლელო 1“-ს მორაგბე დიმიტრი ალავიძე - კონფლიქტის პროვოცირება.
2. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ამირან ყურაშვილი- მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
3. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ზვიად ღლონტი - მეტოქისათვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.8, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ის 2.7, 2.8 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. თბ „ლელო 1“-ს მორაგბე დიმიტრი ალავიძე დისკვალიფიცირებული იქნა 3(სამი) სათამაშო კვირით.
2. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ამირან ყურაშვილი დისკვალიფიცირებული იქნა 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
3. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ზვიად ღლონტი - დისკვალიფიცირებული იქნა 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
4. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.8 პუნქტი და კლუბ თბ „ლოკომოტივს“ დააკლდება 5 (ხუთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

 /მ.თავზარაშვილი/